„დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

____________ ს. ტეფნაძე
___ 27. 11 ___ 2017
ბრძანება 06/66

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები

1. სარჩევი

1 სარჩევი 2
i. ცვლილებები 3
ii. ცვლილებების ისტორია 4
iii. მოქმედი გვერდების სია 5
2 დოკუმენტაციის კონტროლი 6
2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 6
3 აბრევიატურები 7
4 ტერმინთა განმარტებები 8
5 ძირითადი ნაწილი 9
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 9
მუხლი 2. მიზნები და ამოცანები 9
მუხლი 3. ძირითადი პრინციპები 9
მუხლი 5. პლაგიატის გამოყენება 10
მუხლი 6. პლაგიატის გამოყენების განმხილველი ორგანო და განხილვის პროცედურები 11
მუხლი 7. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება 11

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	ნოემბერი 2017					
1	2	0	ნოემბერი 2017					
i	3	0	ნოემბერი 2017					
ii	4	0	ნოემბერი 2017					
iii	5	0	ნოემბერი 2017					
2	6	0	ნოემბერი 2017					
3	7	0	ნოემბერი 2017					
4	8	0	ნოემბერი 2017					
5	9	0	ნოემბერი 2017					
5	10	0	ნოემბერი 2017					
5	11	0	ნოემბერი 2017					

2. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ფაკულტეტები	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3. აბრევიატურები

4. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებული ტერმინები შემდეგი მნიშვნელობისაა:
2. პირდაპირი პლაგიატი - ავტორის მითითების გარეშე სხვისი ნამუშევრის გამოყენება-მითვისება, და/ან სხვისი ნებართვის გარეშე გადაწერა. გამოყენება-მითვისება შეიძლება იყოს რამდენიმე ფრაზის, სეგმენტის ან მთლიანი ნაშრომის. პირდაპირ პლაგიატად არ ჩაითვლება თუ პირს სხვისი ნამუშევრის გამოყენების შესახებ აქვს მითითება, კერძოდ ტექსტი ჩასმულია ბრჭყალებში ან/და მითითებული ავტორის ვინაობა ან/და ციტირებული ტექსტი ნათლადაა გამოკვეთილი ავტორის ტექსტისგან.
3. პარაფრაზირებული პლაგიატი - სხვისი მოსაზრებების პარაფრაზი ავტორის ერთმნიშვნელოვანი მითითების გარეშე ან/და ავტორის სიტყვების უმნიშვნელო ცვლილებით მისი გამოყენება. პარაფრაზირებულ პლაგიატად არ ჩაითვლება თუ ზუსტად ჩანს ვის იდეას ეხმაურება ავტორი და ტექსტში ან ტექსტის ბოლოს წყარო მოხსენიებულია/მითითებულია.
4. პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობის გამო - ავტორების ან წყაროების მითითებისას მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამორჩენა ან არევა.
5. მოზაიკური პლაგიატი - როდესაც პირი ნაშრომში აერთიანებს სხვადასხვა წყაროდან აღებულ მოსაზრებებს და აკავშირებს ერთმანეთთან, როგორც გაერთიანებული მოსაზრება/ნაშრომი. მოზაიკური პლაგიატის დროს ნაშრომის ბოლოს შესაძლებელია იყოს მითითებულიო მეცნიერი/ავტორი მაგრამ ტექსტის კითხვისას არ იყოს გამოკვეთილი გამოყენებული ტექსტი, ავტორის ორიგინალური მოსაზრება ან/და სად არის ჩასმული ციტატა.
6. თვითპლაგიატი - ავტორის მიერ ერთი და იმავე ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილების ორჯერ ან მეტჯერ წარდგენა/გამოყენება/გამოქვეყნება, საკუთარი ნაშრომის ციტირების ან შესაბამისი მითითების და უფლების მოპოვების გარეშე.
7. ფარული თანამშრომლობა - აკადემიური არაკეთილსინდისიერებაა, რომელიც ნიშნავს სხვათა მოტყუების ან/და შეცდომაში შეყვანის მიზნით ჯგუფურ პროექტებზე მუშაობისას დადგენილი წესების დაუცველობას, რომელიც ნიშნავს ჯგუფში შესასრულებელი, პირზე დაკისრებული სამუშაოსაგან თავის არიდებას.

5. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი მოიცავს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) პლაგიატის გამოყენების აღმოფხვრისა და მასზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს.

მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

1. ამ წესის მიზანია უნივერსიტეტის სივრცეში დანერგოს ურთიერთპატივისცემის, უნივერსიტეტის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რეპუტაციის დაცვის მექანიზმები, ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალურ საკუთრების დაცვა, უნივერსიტეტის სივრცეში და მის გარეთ სხვათა ნაშრომის პატივისცემა, რისთვისაც უნივერსიტეტი ქმნის პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, მათზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს.
2. ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე პლაგიატად ჩაითვლება ყველა ის ქმედება, რომელიც მოიცავს სხვისი ნაშრომის, იდეის, აუდიო-ვიზუალური, ლიტერატურული თუ სხვა სახის ნაწარმის გამოყენებას ავტორის მითითების გარეშე.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

1. ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე უნივერსიტეტი ეყრდნობა ოთხ ძირითად პრინციპს:
   1.1. ინფორმირებულობა;
   1.2. პრევენცია;
   1.3. აღმოჩენის მექანიზმი;
   1.4. რეაგირების მექანიზმები.
2. უნივერსიტეტი ინფორმირებულობის პრინციპზე დაყრდნობით ქმნის შესაბამის სამართლებრივ აქტს/აქტებს, უზრუნველყოფს მათ დანერგვას, რაც გულისხმობს წესების უნივერსიტეტის პერსონალისთვის, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისთვის გაცნობასა და მათთვის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომობას.
3. უნივერსიტეტის პრევენციული ზომებია როგორც ინფორმირებულობა, ასევე ნებისმიერი საფეხურის სასწავლო კურსებში, მოდულებში პლაგიატის შესახებ სწავლების დანერგვა და შეფასების პროცესში პლაგიატის დაცვის წესების შემოწმება.
4. უნივერსიტეტი აღმოჩენის მექანიზმის პრინციპის საფუძველზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას მიმართოს განცხადებით პლაგიატიზმის შესაძლო შემთხვევის შესახებ, ასევე ნერგავს სხვა პროცედურებს, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის სივრცეში შექმნილი ნაშრომების უნივერსიტეტის პერსონალის მიერ კონკრეტული კრიტერიუმებით შემოწმებას, ნაშრომების ელექტრონული ბაზის შექმნა-გამოყენებას, ნერგავს შედარების ან/და გამოსაცდელ პროგრამებს.
5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რეაგირების მექანიზმების დანერგვას, კერძოდ, მუდმივმოქმედი კომისიის ფუნქციონირებას, მათ მიერ კონკრეტული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას.

მუხლი 5. პლაგიატის გამოყენება

1. უნივერსიტეტის პერსონალი, ასევე სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი, უნივერსიტეტის სივრცეში დასაქმებული ან მოწვეული ნებისმიერი პირი ვალდებულია დაიცავს ამ წესითა და წესის დანართით განსაზღვრული მოთხოვნები, სხვა შემთხვევაში გატარდება პლაგიატზე რეაგირების პროცედურები.
2. პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტის საქმიანობისა და თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში:
   - 2.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისევე როგორც სხვა პერსონალი, სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი ვალდებულია დაიცვას ამ მუხლით განსაზღვრული წესები;
   - 2.2. უნივერსიტეტის ნებისმიერი პერსონალი, ისევე როგორც სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი ვალდებულია გაეცნოს პლაგიატიზმის ფორმის განმარტებებს და ნებისმიერ საქმიანობისას გამოიყენოს შესაბამისი წესები;
   - 2.3. უნივერსიტეტის პერსონალი, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გაატაროს ინფორმირებულობისა და პრევენციის ზომები, კერძოდ პროფესიულ სტუდენტებსა და სტუდენტებს, მსმენელებს განუმარტონ პლაგიატიზმის დაუშვებლობა, მისი შედეგები, აღმოჩენის მექანიზმები და რეაგირების პროცედურები;
   - 2.4. უნივერსიტეტის პერსონალი, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელის ნაშრომების შეფასებისას დაიცვან ამ წესის მოთხოვნები, უზრუნველყონ მათი ნაშრომების ამ წესით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასება;
   - 2.5. უნივერსიტეტის პერსონალი, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია თავისი საქმიანობის ფარგლებში გამოავლინოს პლაგიატის შემთხვევა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დაუყონებლივ წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას პლაგიატიზმის შესაძლო შემთხვევის შესახებ;
   - 2.6. სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი ვალდებულია პლაგიატიზმის შესაძლო შემთხვევის დროს წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;
   - 2.7. უნივერსიტეტის ნებისმიერი პერსონალი, ისევე როგორც სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს პლაგიატიზმის საქმის განხილვაში, თუ ეს საქმე კავშირშია პირის საქმიანობასთან;
   - 2.8. უნივერსიტეტის ნებისმიერი პერსონალი, ისევე როგორც სტუდენტი/ პროფესიული სტუდენტი/ მსმენელი უფლებამოსილია კომისიის წინაშე დააყენოს მოთხოვნა საკუთარი ან/და სხვისი ნაშრომის მიმართ პლაგიატიზმის შესაძლოა შემთხვევაზე;
   - 2.9. სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი ვალდებულია ნაშრომების შემუშავებისას დაეყრდნოს უნივერსიტეტში მოქმედ სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს.

მუხლი 6. პლაგიატის გამოყენების განმხილველი ორგანო და განხილვის პროცედურები

1. პლაგიატის გამოყენების შემთხვევებს განიხილავს მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში - კომისია), რომელიც იქმნება რექტორის ბრძანებით და მასში თანამდებობრივად შედიან დეკანები, პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
2. პლაგიატის შესახებ განცხადები ადმინისტრაციის მიერ გადაეცემა კომისიას საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით. პლაგიატის გამოყენების საკითხის განხილვის უფლებამოსილება ასევე გააჩნია კომისიას, საკუთარი ინიციატივით.
3. განხილვის პროცესს კომისიასთან ერთად შეიძლება დაესწროს განაცხადის ავტორი, ნაშრომის ავტორი, ნაშრომის ხელმძღვანელი და/ ან სხვა გარეშე პირი.
4. პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, კომისიისთვის საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეაგირების თაობაზე მიმართვის უფლება ასევე ენიჭება გარეშე პირსაც.
5. ნაშრომის ხელმძღვანელი თავად არის ვალდებული გამოავლინოს პლაგიატის შემთხვევა ნაშრომის დაცვამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხოლო თუ მაინც მოხდება ასეთი ნაშრომის დაცვაზე გატანა სტუდენტთან ერთად დადგება ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაც.
6. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხს კომისია განიხილავს მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:
7. სასწავლო კურსის მოდულის სწავლა-სწავლებისას პროფესიული სტუდენტის, სტუდენტის, მსმენლის მიერ პლაგიატის შემთხვევისას უნივერსიტეტის პერსონალი უფლებამოსილია ამ სასწავლო კურსი, მოდულში პირის დაუწეროს ნული ქულა, კომისიაზე განხილვის გარეშე. სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი უფლებამოსილია მოითხოვოს ასეთი შემთხვევის პლაგიატის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ განხილვა.
   7.1. სტუდენტებისთვის:
      7.1.1. წერილობითი გაფრთხილება;
      7.1.2. შეფასება 0
   7.2. ლექტორებისთვის:
      7.2.1. წერილობითი გაფრთხილება;
      7.2.2. აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა.
8. კენჭისყრაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 7. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საქალაქო სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.